№ 47

ოთხშაბათი, 4 მარტი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 47

ოთხშაბათი, 4 მარტი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

**მ. ბარკალაიას მიერ გამოცემული**

ახალი წიგნი

## საამდროლო გამოცანები

(ზმაკიდურები ჩვენს მოღვაწეებზედ)

**თ. ნ. ტ. დადიანისა**

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ჰღირს სამი შაური. ვინც ასს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, მანათზე აბაზი დაეთმობა. (—220 - 7)

დოქტორი მედიცინისა

## ზ. ი. ქალანთა-როვი

(ახლად მოსული ქ. ხარკოვიდგან)

იღებს ავადმყოფებს **შინაგანის სნეულებითა**, დილის 11—1 საათამდის და საღამოს 5—6 საათამდის.

სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, მირზოევის სახლი, № 1. (10—23—10)

## მევენახეთა საყურადღებოდ

**მივიღეთ საზღვარ-გარეთიდგან გაზის სამყნობი „Kunde"-ს ქარხნის ახალი დანები.** ეს დანები მოიწონა საქარის ამერიკულის ვაზის სანერგეს გამგეობამ. მსურველ უნდა მიჰმართონ სტეფანე პავლეს ძის ფეიქრიშვილის მაღაზიას ქუთაისში.

თითო დანა ღირს ერთი მანეთი და ცხრა შაური.

ვინც ათს ცალზედ მეტს დაიბარებს ნაკლებ ფასად დაეთმობა. ქუთაისის გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ ფოსტით ფას-დადებით. (5—6.—5)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. შუდინოვი.** 6—7 საათ· შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების მმართველობა

ამითი აცხადებს, რომ კვირას, 22 მარტს, წლიური კრება იქმნება საზოგადოების წევრთა ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში. კრება დაიწყება დილის 10 საათზედ. განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1897 წ. ანგარიშისა.

2) დამტკიცება 1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

3) ამორჩევა საბჭოს სამის დეპუტატისა იმათ მაგიერ, რომელთაც არჩევანის ვადა შეუსრულდათ;

4) ამორჩევა მმართველობის დირექტორისა იმის ნაცვლად, რომელიც თავს ანებებს სამსახურის ვადის შესრულებისა გამო.

5) ამორჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს წევრთ, რომელთაც რწმუნების ქაღალდი ექმნებათ, საზოგადოების წესდების მე-36 § ის ძალით სამის დღით ადრე წარუდგინონ მმართველობას ეს რწმუნების ქაღალდები, ე. ი. არა უგვიანეს 18 მარტისა. (3—6.—2)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო კოლეჟსკი სეკრეტრობა: **ხარჯთ-ამკრების ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელთ: ქუთაისის ნაწილისა ჩიქოვანს და უარსის ოლქის ოლთის ნაწილისა—ხოშტარიას;** ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის თარჯიმანის თანამდებობის აღმასრულებელს ბახტაძეს, იმავე გამგეობის საქმის მწარმოებლის თანაშემწეს ყორყოლიანს, იმავე გამგეობის საქმის—მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს ნიკოლაძეს.

# ახალი ამბავი

⁂ ქალაქის გამგეობამ, ტფილისის ცხენის რკინის გზების მეთვალყურე კომისიის დადგენილებისამებრ, დააჯარიმა ბელგიის ცხენის რკინის გზის საზოგადოება 235 მან., რაკი 25 თებერვალს მთელის დღით და 26 თებერვალს 6 საათით შეაჩერეს ვაგონების მიმოსვლა. ეს განკარგულება ეცნობა ხსენებულ საზოგადოების დირექტორს.

⁂ სამშაბათს, 3 მარტს, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ბ-მა ლოლუამ შეატყობინა ტფილისის მოურავს ბ-ნს ევანგულოვს, რომ ქუთაისის ქალაქის საბჭო თანაუგრძნობს ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეს და უკანასკნელმა კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, თუ ვინიცობაა ტფილისში პოლიტეხნიკუმი დაარსდა, ქუთაისი ყოველ

# ფელეტონი

## ისტორიული შენიშვნები ქართველებისა და სომხების ურთიერთობის შესახებ.

(წერილი მეორე)

**საქართველოს მეფე წმ. დავით აღმაშენებელი სომხეთის სატახტო ქალაქს ანისში.**

ქალაქი ანისი მდებარეობს არპაჩაის მდინარის ნაპირას [1]). ამ ქალაქში მეათე საუკუნეში ითვლებოდა ასი ათასი სახლი და ასი ტაძარი. მეათე საუკუნეში ანისი გახდა სომხეთის სამეფოს სატახტო ქალაქად და აღყვავდა მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდგან, როდესაც სომხეთში ჰმეფობდა აშოტ მესამე, რომელმაც ეს ქალაქი სატახტო ქალაქად შექმნა. მან ანისში მრავალი ეკკლესია აღაშენა. 989 წელს სმბატ მეორემ დააფუძნა ანისში შესანიშნავი საკრებულო საკათედრო ტაძარი. მისმა მემკვიდრემ გაგიკ პირველმა აღაშენა ანისში ორი ტაძარი და ეს ქალაქი სომხების პატრიარქის სატახტო ქალაქადაც გახადა. 1020 წელს ის გარდაიცვალა. დარჩა ორი შვილი: ოჰანესი და აშოტი. სამეფო ტახტი ოჰანესს დარჩა, როგორც უფროსს შვილსა, მაგრამ იგი მეტის-მეტად სუსტის ხასიათის მეფე იყო... ვერ ეწინააღმდეგებოდა თავისის ძმის აშოტის მთავრობის-მოყვარეობას და ვერც თავადების თავ-გასულობას და იმათს ზნეობითს სიწამხდრეს. მალე სძლია ძმამ. დამარცხებული ოჰანეზი დაემორჩილა საქართველოს მეფის გიორგი პირველის გავლენას და მის მფარველობის ქვეშ შევიდა. (1014—1027 წ.); ხსენებულმა მეფემ ანისი დაიჭირა 1022 წელს. ძმასა და სომხებზედ გაჯავრებულმა ოჰანესმა ანისი დაუთმო საბერძნეთის იმპერატორს ვასილის, რომელმაც დიდის სიამოვნებით მიიღო ეს ძვირფასი საჩუქარი. ოჰანესი და აშოტი 1033 წელს გარდაიცვალნენ. სამეფო ტახტი დარჩა აშოტის შვილს გაგიკ მეორეს, რომელმაც მხოლოდ სამი წელიწადი იმეფა... საბერძნეთის შემდეგმა იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა მოსთხოვა გაგიკს ანისის ქალაქი იმ პირობის ძალით, რომლითაც ეს ქალაქი ოჰანესმა იმპერატორს ვასილს დაუთმო. გაგიკმა და სომხობამ ანისის დათმობის უარი განაცხადეს, მაგრამ საბერძნეთის იმპერატორმა ძალით დაიპყრო ეს ქალაქი. უბედური გაგიკ მეორე ტახტიდგან ჩამოგდებულ იქმნა... დაახლოებით 1045 წელს. გაგიკ მეორემ თავისი დანარჩენი სიცოცხლე საბერძნეთში დაასრულა. იმასთან ერთად 1045 წლიდგანვე მოისპო სომხეთის სამეფოს დამოუკიდებლობა. ეს სამეფო ერთმანეთში გაანაწილეს სპარსეთმა, საბერძნეთმა და საქართველომ.

მაგრამ არც ბერძნები ჰფლობდნენ დიდხანს ანისს. 1064 წელს იგი დაიპყრო სელჩუკ-თათრების სულთანმა არპ-ასლანმა... იმისმა შვილმა მელიქ-შაჰმა ანისი მიჰყიდა დვინის ემირთა გვარეულობას—ბენი-შედდადებს... როდესაც მეფე დავით აღმაშენებელმა დაიპყრო ანისი, იქ მეფედ იყო მაჰმადიანი აბდულ სევერი [2]). დავით აღმაშენებელს, როგორც ქრისტიანობის მცველსა და მფარველს, გვირგვინოსანს არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა დიდი სომხითი, რომლის სატახტო ქალაქად ითვლებოდა ანისი. დიდს სომხითში სომხების გარდა სხცოვრობდნენ მართლ-მადიდებელი ქართველები და ბერძნებიც. იქ ძველთაგანვე დაარსებული იყო სამი სამართლ მადიდებელო საეპისკოპოსო კათედრა... დიდი სამსახური გაუწია ქრისტიანობას დიდს სომხითში დიდებულმა მეფემ საქართველოსამ დავით კურატპალატმა († 1000 წ.) მისი ძლევა-მოსილი სახელი განთქმული იყო მთელს აზიაში და არაბებს ძლიერ ეშინოდათ. 996 წელს დავით კურატპალატმა წაართვა არაბებს ქალაქი მანასკერტი ანუ კალაშკერტი, იქიდგან განდევნა არაბები და დაასახლა ბერძნები და ქართველები [3]). ბასიანში, რომელიც დიდს სომხითში მდებარეობს, ძველთაგანვე ქართველები სცხოვრობდნენ და საქართველოს მეფეებს ემორჩილებოდნენ [4])... დიდს სომხითში ბერძნების და ქართველების გავლენა გავრცელდა უფრო მას შემდეგ, რაც სომხითის სამეფო დაემხო. ბერძნები არ უარ-ჰყოფდნენ ქართველების გავლენას დიდს სომხითში... როდესაც ანისი დაიპყრეს კონსტანტინე იმპერატორმა, ამ ქალაქში ორი გამგე დანიშნა ერთი მათგანი ბერძენი იყო და მეორე—ქართველი [5]). სომეხთ მეისტორიე ბ ნიერიცოვი ამტკიცებს, რომ მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნოებში ქართველთა ახალშენებით მოფენილი იყო დიდი სომხითი თვით აზრუმამდისაო [6])...სამი მართლ-მადიდებლის მღვდელმთავრის კათედრა, რომელიც არსებობდა დიდს სომხითში, იყვნენ კარისა, კალაშკერტისა და ანისისა...

ანისში დღემდის დაცულია ქართველთა ეკკლესია, რომელიც საკათედრო ტაძარი იყო ანისის მართლ-მადიდებელის მღვდელ-მთავრისა. ამ ტაძარს შეცდომით სთვლიან ბერძნულ ტაძრად. შიგ მხატვრობა მეთორმეტე საუკუნისაა, წმ. დავით აღმაშენებლის დროისა; ამ ტაძარშივეა კედელზედ დახატული ქართველთ განმანათლებელი წმ. ნინო ქართულის წარწერით... ეს სამი სამართლ-მადიდებლო კათედრა დაარსდა მაშინ, ოდეს არაქსის ხეობის ნაწილს ჰფლობდნენ ქართველი მეფეები; აქ დღემდის სჩანს ქართველთა ტაძრების ნანგრევნი ქართულის წარწერებით [7]). დიდის სომხითის სამი მართლ-მადიდებელი მღვდელთ-მთავარი ემორჩილებოდნენ საქართველოს კათალიკოზს და მოხსენებულნი არიან საქართველოს ეკკლესიის მღვდელ-მთავართა სიაში. ვალაშკერტის მღვდელ-მთავარს დათმობილი ჰქონდა ოცდა მესამე ადგილი, ანისისას—ოცდა მეოთხე და კარისას (აზრუმისას)—ოცდა მეექვსე ადგილი ივერიის ეკკლესიის 35 მღვდელ მთავართა შორის. დიდის სომხითის მართლ-მადიდებელი მღვდელ-მთავრები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ისტორიულს ბედ-იღბალში. ვალაშკერტის მღვდელ-მთავარმა ზაქარიამ ერთმანეთში მოარიგა საბერძნეთის იმპერატორი ვასილი და საქართველოს მეფე გიორგი პირველი [8])... თითოეული ქართველი მოხელე დიდს სომხითში, წარმომადგენელი საქართველოს სამეფოსი და ეკკლესიისა, თვისს აუცილებელს, საღმრთო მოვალეობად სთვლიდა დაემტკიცებინა, რომ ის იყო ძე ივერიისა.. გრიგოლი ბაკურიანისძე, ტომით ქართველი, ანისის გამგედ იყო მაშინ, ოდეს ამ ქალაქს თავს დაეს-

[1]) S—Martin t. I p. 112.

[2]) იქვე—111—114 და 372, 377—Скибалоновича: „Визант. Госуд. и церковь въ XI в. გვ. 201—203.

[3]) Addition Brosset... p. 182,

[4]) იქვე... 138.

[5]) S—Martin t. II p. 255.

[6]) Труд. V арх. съ ѣзда въ г. Тифлисѣ 1881. г. стр. 88.

[7]) Отнош. Грузіи и Арм. къ Византіи Бакрадзе въ „Изв. Кавк. общ. ист. и арх. вып. пер. стр. 87—90; Ист. Грузіи Вахушти—стр. 144 შენიშ. ა;;

[8]) Addition... გვ. 216.

წლივ 1000 მანათს მისცემს ამ სასწავლებელსაო.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ქუთაისის გუბერნიაში გავრცელებულ ვაზის ავადმყოფობასთან საბრძოლველად საჭირო იარაღები უგარდასახადოდ იქმნეს შემოტანილი საზღვარ-გარეთიდგან ამ გუბერნიაშიო.

*** ქუთაისი, 1 მარტი. 28 თებერვალს აქაურ ქალაქის თეატრში მეგრელთა ხალხურმა ხორომ ბ-ნთ ლოლუასა და გუგუშვილის მოთავეობით კონცერტი გამართა. კონცერტს შეადგენდა თვრამეტი სხვა-და-სხვა ხალხური სიმღერა, უმეტესი ნაწილი მეგრული სიმღერები იყო. თეატრში საზოგადოება ძალიან ცოტა იყო. ვინც დაესწრო, სიმღერით ვერ დაკმაყოფილდა, რადგან თითქმის ყველას ხმა ჩახლეჩოდა და ხრინწიანის ხმითა ჰმღეროდნენ.

ორი დღეა, რაც ქუთაისში თოვს. თოვლი ერთის ჩარექის სისქე იქმნება.

*** ახალქალაქი. კვირას, 22 თებერვალს, ჩვენს ეკკლესიაშიც გარდავიხადეთ პანაშვიდი სასიქადულო მეფის ერეკლეს დაკრძალვის დღიდგან ასის წლის შესრულების გამო. ამ შემთხვევისთვის მოყვარეთაგან ქართული ხორო შესდგა და კიდევ ერთი მღვდელიც იყო მოწვეული. ქართულმა წირვამ და მეტადრე ქართულმა გალობამ მეტად ასიამოვნა საზოგადოება, წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დიდ ძალი ხალხი დაესწრო. აქვე იყვნენ ქალაქის მამასახლისი გრიგორიანცი თავის წევრებით, რომელთაც პატივი სცეს წარჩინებულ მეფის ხსოვნას. მამა იოსებ ჩიტაძემ მოკლედ და მარტივად აუხსნა დამსწრე საზოგადოებას განსვენებულის ღვაწლ-მოსილის მეფე ერეკლეს მტკიცე სარწმუნოება და თავ-დადებული დაუღალავი ზრუნვა სამშობლოს ბედნიერებისათვის; ვინ უწოდა მას გმირთა-გმირი, ვით გამოჩენილ სარდალსა და მეომარს; რა აზრით გადასცა საქართველო რუსეთის ხელმწიფეს და რითი უკვდავ იქმნა მისი სახელი ყოველ ქართველისთვის.

*** სოფ. ზერთუბანი. 1897 წლის ქრისტიშობისთვის პირველიდგან ბერთუბნელებს დაგვიარსდა საქალებო სამრევლო სკოლა. მასწავლებლად დაგვინიშნეს ტფილისის ეპარქიის საქალებო სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ქ-ნი ნინო როსებქადაგიშვილი. ამ ჟამად სკოლაში 40 ქალი დაიარება სასწავლებლად. იმედია, ახალი მასწავლებელი-ქალი ბეჯითადა და გულ-მოდგინედ ასწავლის ახლად დაარსებულ სკოლის მოსწავლე ქალებს როგორც საგნებს, ისე ხელ საქმესაც და მით შეაყვარებს ხალხს სკოლას.

*** ახალციხე. 22 თებერვალს დეკანოზის დ. ხახუტაშვილის და ადგილობრივ მღვდელთა მიერ ახალციხეშიაც გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი გმირის მეფის ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს და წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო: ახალციხის ქართველობა, სარწმუნოებისა, სამსახურისა და სქესის განურჩევლად, მაზრის უფროსი ა. პ. პავლოვი, ქალაქის მოურავი გ. ნ. მოსესოვი, მაჰმადიანთა ეფენდი გვარად აბაშიძე, ადგილობრივ დედათა სკოლის მოსწავლენი თავიანთი მასწავლებლებით და სხვანი. პანაშვიდის დაწყების წინად მღვდელმა ს. ჰუჰულაშვილმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დაგვიხატა მეფე ერეკლე როგორც გმირი და მამულისათვის თავ-დადებული. მეფე ერეკლეს ფონდის სასარგებლოდ აქაც გროვდება ფული.

*** დღეს, 4 მარტს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ კრება ექმნება კავკასიის ბაღ-ბოსტნეულობის საზოგადოებას სააბრეშუმო სადგურის დარბაზში. კრება განიხილავს: 1) ნ. ნ. სპეშნევის მოხსენებას 1897 წლის ყურძნის მოსავლიანობის შესახებ; 2) ხილეულობის ახლად გაჩენილ მტერის შესახებ და 3) საზოგადოების მიმდინარე საქმეებს.

*** 7 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში კრება ექმნება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას. კრება საზოგადოების მორიგ საქმეების განხილვის შემდეგ მოილაპარაკებს საზოგადოების წევრის ა. ს. ფრენკელის რეფერატის „კავკასიის ავაზაკობასთან საბრძოლველ საშუალებათა“ შესახებ.

*** ამ ჟამად ტფილისში ვიღაც კაცები დადიან და გულ უბრყვილო ხალხს თითბრის ბეჭდებს ოქროსად აძლევენ. აი როგორ ატყუებენ ხალხს ეს მაწანწალები. მივლენ რომელიმე კაცთან და ეტყვიან ჩუმად, რომ ეს ოქროს ბეჭედი აქა და აქ ვიპოვე და აჰა, თუ გინდა, იაფად მოგცემთო. მყიდველმა თუ მოისურვა და უთხრა ოქრომჭედელს ვაჩვენოთ, მაშინვე გაჰქრებიან, თუ არა-და რაც იქნება დასცინცლავენ და გასწევენ არხეინად.

*** გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს თავ. აკაკის „კრებულის“ მეVII № შემდეგის შინაარსით. განყოფილება პირველი: ირაკლის საფლავზე—ლექსი; უზრალო საუბარი; ხანის ვეზირი-კომედია ოთხ მოქმედებად (თარგმანი); პროფესორი მარრის საპასუხოთ; განყოფილება მეორე; სცენა საპატიმროში; ადვოკატის დილა; განთიადი—ლექსი; განყოფილება მესამე: როსტომი, ზღაპარი. ჩაწერილი კ. გვარამაძისაგან; ადამ და ევა, ხალხური ლექსი, მისგანვე ჩაწერილი; ხალხური ლექსები (შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან); დ. ხონი (მასალა შ-სი); ეთერი, ჩაწერილი გრ. აფშინაშვილისაგან; ხალხური ლექსები, შეკრებილი ივ. გომელაურისაგან და სხვა.

*** ამ დღეებში გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს მეორე ნომერი ჟურნალ „ჯეჯილისა“. ჟურნალში მოთავსებულია: იადონი და ბულბული ლექსი— მ. ღლონტისა; კაკის მეფობა, ამბავი —ვანოსი; მგელი—კალია სოლანგი, თარგმანი—ალ. ბარნოვისა; სიკვდილი ლექსი — აკაკისა; მოლაპარაკე ხე (გადმოკეთებული ფრანგულიდამ); ახალი ქვეყანა (ქრისტეფორე კოლუმბი)—ვანოსი; პატარა მოწამენი —გ. წყალტუბელისა; საკვირველებანი ბუნებისა (№ 12)—ლადო აღნიაშვილისა; ქველ-მომქმედნი (იგავი)—ალ. მ—შვილისა; სამეცნიერო გასართობი (№ 2)—ბორასი; წვრილმანი: ხალხური, ანაგრამა, გამოცანები, რებუსი, შარადა და სხვანი.

## ქალაქის საბჭო.

2 მარტი

ამ კრებაზედ საბჭო, როგორც იყო, შეუდგა განხილვას სამჯერ თუ ოთხჯერ გადადებულის ახალის პროექტისას ქალაქის ქუჩების საუკეთესოდ მოკირწყვლისა და საზოგადოდ მოვლა-პატრონობის შესახებ.

მაგრამ ამ საგნის განხილვამდე საბჭომ მოისმინა ქალაქის მოურავის ორი წინადადება, პირველი იმის შესახებ, რომ 1898 წლის დამატებითი დაფასების გარდასახადის შეტანის ვადად დანიშნულ იქმნას ამა წლის ივლისი და მეორე—რა შემწეობა აღმოეჩინოს ქალაქის მცხოვრებელთ იმ შემთხვევაში, თუ წყალ-დიდობა იქმნება. ამ უკანასკნელ საგნის შესახებ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: შეაკეთოს ძველი ნავები და რამდენიმე ახალიც შეუკვეთოს, მოამზადოს ფარნები და საჭირო სანათურები. ყველა ეს პოლიცმეისტერის განკარგულებას გარდაეცეს, ამისთვისვე პოლიცმეისტერის განკარგულებაში განწესდეს 50 მუშა და 16 კარავი. ამ საქმეს დასჭირდება, გამგეობის ანგარიშით, სულ 650 მან.

საბჭომ ორივე წინადადება შეიწყნარა. ამის შემდეგ საბჭო ზემოხსენებულ პროექტის განხილვას შეუდგა.

ყველამ კარგად უწყის, რომ ჩვენი ქალაქი თვისის ტალახითა და ქუჩების უსუფთაობით განთქმულია. თუ ცოტა წამოწვიმა, ზოგიერთ ქუჩაში ისეთი ტალახი სდგება, რომ არამც თუ ფეხით, ეტლით გავლაც-კი შეუძლებელი ხდება. არა ნაკლებ გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან ქალაქის მცხოვრებნი კარგის ამინდის დროს: საშინელი მტვერი კაცს ქუჩაში სულს უხუთავს. ასეთია ჩვენი მოკირწყლული ქუჩები, ხოლო მოუკირწყლავს და ქვა დაუფენელ ქუჩების შესახებ, რომელთა რიცხვიც მრავალია, ხომ არაფერი ითქმის: ამ ქუჩებზედ მცხოვრებელთა გაჭირვება თითქმის აუწერელია, და არამც თუ უამინდობის, კარგის ამინდის დროსაც ამ ქუჩებში ტალახია გამეფებული. არ გეგონოთ, რომ ქალაქის თვით მმართველობა ამ საქმეზედ ფულს არა ხარჯავდეს! ჰხარჯავს და ძალიან ბევრსაც: ყოველ წლიწადს ქუჩების შეკეთებასა, დასუფთავებასა, დაწმენდასა და მორწყვას ქალაქის კასსიდგან 116 ათას მანეთამდე უნდება, მაგრამ მთლად ეს ფული ქალაქის ორ-სამ უმთავრესს ქუჩას ჰხმარდება. ქალაქის საზოგადო ფულის ასე უთანასწოროდ განაწილე-

---

ხა არპ-ასლანი [9]).

როგორც ჰმოწმობს ლებო თავისს ისტორიაში, გრიგოლ ბაკურიანისძე ფრიად გამოჩენილი და გავლენიანი კაცი იყო დავით აღმაშენებლისა და საბერძნეთის იმპერატორის ალექსი კომნინსის დროს [10]). როგორც ერთის ძველის ქართულის ხელთ ნაწერიდგან სჩანს, ხსენებული ფრიად-შესანიშნავი კაცი დიდს სამსახურს უწევდა ქართველობის და მართლმადიდებლობის ინტერესებსა [11]). გრიგოლ ბაკურიანისძე შველოდა მეფეს გიორგი მეორეს († 1112 წ.), დავით აღმაშენებლის მამას, ურწმუნოებთან ბრძოლაში. იმან გადასცა ამ მეფეს ოლთისის, კარნაუს და კარის ციხეები და მათი მიდამოები. [12]). იგივე ბაკურიანისძე თვის ძმას აბასთან ერთად ნახსენებია ათონის მონასტრის „აღაპის“ წიგნში, როგორც კეთილის-მყოფელი და ქველ-მოქმედი. „25 იანვარს—ნათქვამია ამ წიგნში—უნდა სრულდებოდეს წირვა კეთილ დღეობისათვის გრიგოლ და ძმისა მისისას აბაზის ბაკურიანისძეთა [13]).“ დიდს სომხითშივე ინახებოდა იმ ჟამად საქართველოს ეკკლესიის ძვირფასი საუნჯე, ვაზის ჯვარი წმ. ქართველთ განმანათლებელის

[9]) S—Martin t II გვ. 225 და Addition... გვ. 219.

[10]) т. XV, გვ. 85-86 და 205.

[11]) Д. Бакрадзе Археол. пут. по Гуріи и Аджарѣ. стр. 212—213.

[12]) H. de la S. t I გვ. 346 და Addition გვ. 50.

[13]) ბაქრაძე. დღიური გვ. 288, 289 და 312.

დედის ნინოსი. ისტორიიდგან ვიცით, რომ, ოდეს სომენი დაეცა განანდს, სადაც დიდს ხანს ინახებოდა ხსენებული ჯვარი, ორს მაჰმადიანს ჰსურდათ ეს საუნჯე ცხენების ფეხებს ქვეშ დაეგდოთ და ამითი მისთვის შეურაცხება მიეყენებინათ, მაგრამ კეთილმსახურმა პატრიარქმა სომხებისამ ფარსეგმა უეცრად გამოსტაცა ეს ძვირფასი საუნჯე მაჰმადიანებს ხელიდგან და დიდის დიდებით თავისს ტაძარში დაასვენა... მთელი სომხობა გამოუთქმელის მოკრძალებითა და მხურვალე გრძნობით თაყვანსცემდა საქართველოს განმანათლებელის ჯვარსა, რომელიც რამდენიმე საუკუნე სომხეთში ინახებოდა წმ. მეფის დავით აღმაშენებლის დრომდის და შემდეგშიაც მანგოლთა შემოსევამდის (XIII საუკ.).

დავით აღმაშენებელმა ხელი მიჰყო სომხითის მაჰმადიანთა ბატონობისგან განთავისუფლების საქმეს [14]). მან ბევრი ციხე წაართვა მაჰმადიანებს ამ ქვეყანაში [15]), მაგრამ სომხითის გული, მისი სატახტო სასიქადულო ქალაქი ანისი მაინც მაჰმადიანთა (სელჩუკ-თათრების) ხელში იყო... ამიტომ დავით აღმაშენებელმა განიზრახა განეთავისუფლებინა ანისი მაჰმადიანთა ბატონობისაგან. თვით დავითმა არ მოინდომა ძალათი აღება ანისისა; ის დროს უცდიდა, მოელოდა, რომ თვით სომხობა სთხოვდა შეწევნას და მფარველობას... ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

[14]) S—Martin. t. I გვ. 378.

[15]) Addition გვ. 59—60.

სომხობას ძლიერ უყვარდა მეფე დავითი და დიდს პატივსაცა სცემდა როგორც მფარველს და პატრონს სომხეთისას. ბერძნები-კი მეტის მეტად ეჯავრებოდათ სომხებს... ამათ უფრო მეზობლობა, მეგობრობა, მონათესავეობა ქართველებთან ჰქონდათ... არც თუ ბერძნებს უყვარდათ სომხები... ერთი ამბავი ნათლად ამტკიცებს ამ აზრს... კესარიის მიტროპოლიტმა მარკოზმა, რომელიც მტერი იყო სომხობისა, თავისს ძაღლს სახელად: „არმენი“ (სომეხი) დაარქვა... 1067 წელს ის მოკლულ იქმნა ამის გამო სომხითის მეფედ ნამყოფის გაგიკ მეორის მიერ, რომელიც კესარიაში სცხოვრობდა [16])... სომხებს უფრო ქართველებისკენ ეჭირათ თვალი და გაჭირვების დროს იმათგან მოელოდნენ შველას... ისტორიას ახსოვს ორიოდე შემთხვევა ქართველთა მიერ სომეხთა სარწმუნოების შეურაცხყოფისა: პირველი: დავით კურატპალატის დროს ქართველმა მხედრებმა ცხენები შერეკეს სომხების ერთს ტაძარში [17]) და მეორე: 1197 წელსა, როდესაც სომხებმა აღდგომა არ იდღესასწაულეს მართლ-მადიდებლებთან ერთად, და ამითი დიდი აღელვება გამოიწვიეს ქართველთა შორის, უკანასკნელთ დასწვეს სომხების ერთი ტაძარი... თამარ დედოფალმა ქართველებს სომხების სასარგებლოდ 40,000 დინარი გარდაახდევინა [18])... მაგრამ ორიოდე შემთხვევა სრულიადაც არ აღნიშნავს საზოგადო მოვლენას... მეფე დავითი დიდს პატივს ცემდა ერთს სომხის განათლებულს მღვდელს სარქავაგს (1129 წ.)... ის ხშირად სარგებლობდა ამ მღვდლის ბრძნულის რჩევით... სარქავაგი აცნობებდა მეფეს სომხეთის გაჭირვებულსა და სავალალო მდგომარეობას და უქადდა მეფეს ბრწყინვალე და ბედნიერს მომავალს. სარქავაგი ბრძენი კაცი იყო. იმასა ჰსურდა სომეხთა და მართლმადიდებელთ შორის მშვიდობა და თანხმობა დაემყარებინა... ამ აზრის მისაღწევად სომხებს მართლმადიდებლის კალენდრის ხასიათის კალენდარი შეუდგინა [19]).

[16]) Скабалановича... გვ. 404—405.

[17]) Addition... გვ. 182.

დავით მეფემ მშვენივრად იცოდა სომხური ენაც, რომელზედაც მაშინ არსებობდა მდიდარი საისტორიო და სალვთის მეტყველო მწერლობა; იგი სცდილობდა ამ ენის აღყვავება-განვითარებას. „სომხური ქრონიკა“ ჰმოწმობს, რომ დავითმა იცოდა სომხურთა საუცხოვო თარგმანთა ფასი [20]). სომეხთ მემატიანე ვარდან დიდი აღნიშნავს, რომ მეფე დავითს არა სძულდა სომხური ლოცვა, სომეხთ სამღვდელოება და სომხების ეკკლესიები [21]). იგივე დიდს მფარველობას უსწევდა სომეხთა ორს მონასტერს: ხახპატისას და სანაგინისას. აი რას ამბობს ხახპატის მონასტრის წარწერა: მპყრობელმა მეფე დავითმა, გიორგის ძემ, მფარველ მაზახპატისამ და სანაგინისამ, საშინელის აოხრებისაგან ხახპატის განმათავისუფლებელმან, შესწირა წერილობითის საბუთით ხახპატის ტაძარს ვენახები... და ბევრი სხვა მიწებიც... რაც რამ ეკუთვნოდა მას ხელ ახლად მასვე დაუმტკიცა [22])... სომეხთა საუკეთესო და მოწინავე კაცები, რასაკვირველია, დიდის პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობოდნენ დავით აღმაშენებელსა, მფარველს სომხეთისა და იმისის ეკკლესიისას, იმათ სთხოვეს დავითს მფარველობა და მიიწვიეს თვისს სატახტო ქალაქში... 20 აგვისტოს 1124 წელსა მოვიდა მეფე დავითთან ანისის ქალაქის წარმომადგენელი სომხები და სთხოვეს განეთავისუფლებინა ანისი და დიდი სომხითი მაჰმადიანთა ბატონობისაგან. დავითმა 60,000 ჯარი წაიყვანა და შევიდა მშვიდობით ანისში. მან დაიპყრო ანისის მიდამოებიც. აბულსევერი თვისის რვა ძითურთ აფხაზეთში გაჰგზავნა. ანისის ციხეში მეციხოვნეებად მესხეთის აზნაურები დანიშნა [23]).

(დასასრული იქნება)

[18]) იქვე... 280.

[19]) იქვე. . გვ. 60—61 შენიშ. ა.

[20]) იქვე... გვ. 61.

[21]) იქვე... გვ. 233.

[22]) Memoirs de l' Aeadem. des sciën... VII ser. VI № 6 გვ. 44—46 და 68.

[23]) H. de. La. S. XI p. 370.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, როგორც გამგეობის მოხსენებიდგანა სჩანს, ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულომ და გუბერნატორმაც-კი მიაქციეს ყურადღება. აი, რა აზრი წარმოუთქვამს ტფილისის გუბერნატორს 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს: „ის ფული, რასაც ქალაქის თვით-მმართველობა ქუჩების მოწყობისა და დასუფთავებისათვის ჰხარჯავს, არ შეეფერება საზოგადო სარგებლობას და ქალაქის საჭიროებას. ასუფთავებენ და რწყვენ ქალაქის შუაგულში მდებარე საუკეთესო ქუჩებს, ხოლო განაპირა ქუჩებს ქალაქი არავითარს ყურადღებას არ აქცევს, თუმცა-კი ყველა ქუჩის მცხოვრებნი ერთნაირად იხდიან გარდასახადს. ყოველ ამის გამო ხშირად ისმის საჩივარი და ლაპარაკი განაპირა ქუჩების არა-სანიტარულ მდგომარეობის შესახებაო“. ხოლო ქალაქის განაპირა ქუჩები რომ დიდად მოუწყობელია, ამას თვით გამგეობაც ჰმოწმობს თავისს მოხსენებაში. „განსაკუთრებით, ნათქვამია ამ მოხსენებაში, უნუგეშო მდგომარეობაშია ქალაქის განაპირა ადგილები, რომლებიც ტალახსა და მტვერშია ჩაფლული. თუმცა გამგეობა დიდად არის მოწადინებული საზოგადო ფული თანასწორად მოახმაროს ქალაქის ყოველს ნაწილს, მაგრამ მაინც—ნება უნებურად, იძულებული ხდება მეტი ყურადღება მიაქციოს ქალაქის შუაგულ ადგილებს, სადაც დიდი მოძრაობაა, ხოლო ქალაქის განაპირ ადგილებს სულ მცირედაც ვერ ადევნოს თვალ-ყური. აშკარაა აქედგან, რომ საქმის ასეთის ვითარების წყალობით უპირველეს ყოვლისა მოგებაში რჩებიან კარგ ქუჩის მდიდარნი სახლის პატრონნი, რომელთათვისაც ძნელი არ არის ეს ბეგარა თავისის ხარჯით გარდაიხადონ, ხოლო ღარიბნი არაფერს არ იგებენ, რადგანაც განაპირა ქუჩები, სადაც იმათი სახლებია, ძალიან იშვიათად შეკეთდება და იწმინდება ხოლმე“.

აი, ასეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში იყვნენ და არიან, ქუჩების მოუწყობლობის გამო, ქალაქის განაპირა ადგილებში მცხოვრებნი, მაგრამ ქალაქის თვით მართველობამ მხოლოდ ეხლა მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და მოიწადინა ქუჩების საუკეთესოდ შენახვის საქმის გაუმჯობესობა, ისიც გუბერნატორის ბრძანებისა და მოთხოვნის შემდეგ.

ეს საგანი საბჭოში სულ ორჯელ აღიძრა, პირველად 1891 წელს ხმ. ვასილიევის მიერ, მაგრამ მაშინ უნაყოფოდ ჩაიარა, ხოლო მეორედ 1895 წელს ხმ. ა. ს. ბაბოვის მიერ. თავისს განცხადებაში ხმ. ბაბოვი ამბობს, რომ ქუჩების მოუკირწყვლობისა და მოუწყობლობის მიზეზი ის არის, რომ ეს საქმე თვით სახლის პატრონებსა აქვთ მიჩემებული. მართლაც და, როგორც მკითხველებს უთუოდ მოეხსენებათ, ამა თუ იმ ქუჩის მოკირწყვლა ეხლანდელს წესით მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ქუჩის ყველა სახლიპატრონები ამის თანხმობას განაცხადებენ და საჭირო ფულს გაიღებენ. აშკარაა აქედგან, რომ იმ ქუჩის მოკირწყვლის საქმე, სადაც ღარიბი სახლის პატრონები სცხოვრობენ ძალიან გაჭიანურდება, რადგანაც ძნელია ყველა სახლის პატრონს გამგეობამ ერთს დროს გამოაღებინოს საჭირო ფული: ბევრს ამ დროს შეიძლება გროშიც არ მოეპოვებოდეს. ამიტომ მოხსენება სამართლიანად ამბობს, რომ ეს წესი ქუჩების მოკირწყვლისა სრულიად უნდა შეიცვალოს, ე. ი. თავდაპირველი მოკირწყვლა თვით ქალაქმა უნდა იკისროს. მაგრამ ქალაქის თვით მმართველობამ ამ საქმისათვის მაშინ იფიქრა, როდესაც ქალაქის აუარებელი საზოგადო ფული, მაშასადამე, იმ ქუჩების სახლის პატრონებისაც, რომელი ქუჩებიც დღესაც მოუკირწყლავია, იმ ქუჩების შეკეთებასა და გაწმენდას მოანდომა, სადაც მდიდარნი სახლის პატრონნი სცხოვრობენ. როგორც უკვე ვთქვით ქუჩების თავდაპირველი მოკირწყვლა სახლის პატრონების ხარჯითა ჰხდება, ხოლო მოკირწყლულის, მაგრამ წამხდარის ქუჩების შეკეთება და გაწმენდა—მოვლა ქალაქის ხარჯით. როგორც, მოხსენებიდგანა სჩანს, დღემდის მოუკირწყლავთ სულ 102,000 ოთხკუთხი საჟენი და ამ საქმეს სახლის პატრონებმა მოანდომეს 560,000 მან. მოუკირწყლავია—82,000 ოთხკუთხი საჟენი. 1875 წ. 1897 წლამდე უკვე მოკირწყლულის ქუჩების შეკეთებას ქალაქმა 613,000 მანეთი საზოგადო ფული მოანდომა თურმე, ამ რიგად ეს ამოდენა (613,000 მან.) ქალაქის საზოგადო ფული მხოლოდ მოკირწყლულ ქუჩებს მოჰხმარებია. ე. ი. სადაც ქალაქის მდიდარი ნაწილი სცხოვრობს, ხოლო მოუკირწყლავ ქუჩებზედ სრულიად არა დახარჯულა რა. აი ასეთი შედეგი ჰქონდა იმ წესს ქუჩების მოწყობა-მოვლისას, რომელიც აქამდის ჰსუფევდა ტფილისში.

(დასასრული ხვალ)

### წერილი თელავიდგან

22 თებერვალი.

დღეს დილიდამვე არა ჩვეულებრივი მოძრაობა იყო თელავში. ამინდი მართლა და სამგლოვიარო იყო: მონისნული ცა და ნისლით-ვე მოცული ქალაქი, თოვლ-ჭყაპი, ზედაც მუხლამდის სარევი ტალახი ქუჩებში,—ყველა ეს კაცს უნებლიედ უკრავდა შუბლზედ კოპებსა. საქმეც ამინდის შესაფერი ჰქონდათ თელაველებს: დანიშნული იყო პანაშვიდი სწორედ იმ ეკკლესიაში, სადაც ხანგრძლივ ესვენა განსვენებული გმირი სატირლად და საურვებლად. აქ იგლოვდა მას თუშ-ფშავ-ხევსური, აქ ჩასძახოდნენ ესენი „აღზდეგ გმირთ-გმირო ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანიაო“, აქ მოსთქვამდნენ: „არ გეჯერებათ, ქართველნო, შეგვეხსნა რკინის კარია“, აქ იგლოვდა ქიზიყი მოზარეთა გუნდით, რომელშიაც საოცარი მომთქმელი მოხუცებული და წელში მოხრილი ახუა (სახელია) მთელის ხალხის ყურადღებას იპყრობდა თავისის აზრიანისა და გულ-საკლავის სიტყვებით; აქ იგლოვდა მას ინგილო, გარედ-კახეთი, ყიზილბაშნი ივრის ხეობიდგან, ქართლი, ჯავახეთი, იმერეთი და სხვ. და სხვ. დილიდამვე დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა ღვთაების ეკკლესიას. აგრეთვე დიდ-ძალი ხალხი იყრიდა თავს სომეხთა ტაძარს თელეთში, სადაც პანაშვიდი იყო დანიშნული, თანახმად ტფილისიდგან მიღებულის განკარგულებისა სომეხთა სასულიერო მთავრობისაგან, რომელიც გამოწვეული იყო თელავიდგან ნება-რთვის თხოვნით. ამავე განკარგულების ძალით სხვა სომეხთა ეკკლესიებიდგან წირვის შემდეგ მოწვეული იყო სამღვდელოება თელეთში პანაშვიდზედ დასასწრებლად. რადგანაც პანაშვიდი ორსავე ეკკლესიაში თითქმის ერთ დროს იყო დანიშნული, ხალხს ორივედგან დასწრობა არ შეეძლო და ამიტომ გაიყო იგი, უმრავლესობა მართლმადიდებელთა ეკკლესიაში დაესწრო: აქ იყვნენ: თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავად-აზნაურობითა, მრავალი მანდილოსნობა, თელავის მამასახლისი ბ-ნი თათუზოვი და მასთან თითქმის მთელი თვით მართველობა, მოქალაქენი ქართველნი და სომეხნი, ადგილობრივი დრუჟინის ქართველი აფიცრობა, სუყველა სასწავლებლის მასწავლებელნი.

პანაშვიდი შეასრულა თელავის სამღვდელოებამ დეკანოზის ხირსელის თავ-დგომით. წირვის და პანაშვიდის დროს ჰგალობდა სასულიერო სასწავლებლის ქართულად მგალობელთა გუნდი ბ-ნის სულხანიშვილის ლოტბარობით და გალობის მოყვარულთა გუნდი ბ-ნის ყაზახაშვილისა, ბ-ნის ბერეჟიანისა და ბ-ნის გაგუნოვის თაოსნობით.

წირვაზედ სიტყვა წარმოსთქვა ადგილობრივმა მღვდელმა იოანე ხატიშვილმა, რომელმაც მეფე ერეკლეს ცხოვრებიდგან შესანიშნავი შემთხვევანი ჩამოთვალა და აღნიშნა მისი გასაოცარი გმირობა, პანაშვიდზედ სთქვა გრძნობით სავსე სიტყვა მღვდელმა იოანე შიუკაშვილმა და ბოლოს წარმოსთქვა მკაფიოდ და დიდის გრძნობით სიტყვა ბ-ნმა გ. საყვარელიძემ.

თელეთში მღ. სუქიასოვმა წარმოსთქვა პანაშვიდზედ სიტყვა, რომელშიაც გააცნო რა სომხობა ერეკლეს ღვაწლთან, სხვათა შორის, დაასახელა მოწყალებანი მეფისა სომეხთა კახეთში დასახლებისა და პატრონობის შესახებ. ნათქვამი დაამოწმა ერეკლე მეფის წერილობითის განკარგულებითა, რომელიც დარჩენილია თელაველების ოჯახებში. თვით მქადაგებლის წინაპარი სუქიასი მღვდლად მოჰყოლია ტყვეობიდგან დახსნილ სომხობას და ამ სუქიას მღვდელზედაც არის დარჩენილი წერილობითი განკარგულება ერეკლე მეფისა. *)

ნადიკვრელი

### წერილი ქუთაისიდგან

16 თებერვალი

ქუთაისურ ქალებს განუზრახავთ ქართული ყოველ-თვიური ჟურნალი გამოსცენ ქუთაისში. რა თქმა უნდა, განზრახვა კეთილშობილურია და სასიამოვნო. მაგრამ საქმე ხომ განზრახვა არ არის, საქმე მისი სისრულეში მოყვანა და განხორციელებაა. ამისათვის-კი, ჩვენის აზრით, ქუთაისურ ქალებს ჯერ-ჯერობით არც ნივთიერი საშუალება აქვთ და, გავკადნიერდებით და ვიტყვით, არც საკმაო ლიტერატურული მომზადება. ეს გარემოება, სხვათა შორის, გამოჩნდა იმ კრებაზედ, რომელიც შესდგა წარსულს პარასკევს ერთს პატივცემულის მანდილოსნის მოწვევით. ლაპარაკის დროს ეტყობოდათ, რომ ნათლად არა ჰქონდათ წარმოდგენილი თუ რა ძნელი და რთული საქმეა ყოველთვიურის ჟურნალის ჯერ დაარსება და შემდეგ მისი რიგიანად გაძღოლა, მერე ისიც იმისთანა ქალაქში, როგორიც ქუთაისია, სადაც ცენზორი არ არის და სხვა მრავალი გარემოება ხელს უშლის დრო გამოშვებით გამოცემას. ჩვენ გვახსოვს და ვიცით მოსპობილის ქართულის ჟურნალების ბედ-იღბალი; ისიც ვიცით, რომ ამ ჟურნალების გამოცემის საქმეში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენის ქვეყნის საუკეთესო მწერალნი; ამ უკანასკნელთა საზოგადო განვითარება და ქართულის ენის ცოდნა, რა თქმა უნდა, ერთი-ორად აღემატება იმათ ცოდნას, რომელთაც ეხლა განუზრახავთ ჟურნალის გამოცემა, და თუ კი ამ წარჩინებულ მოღვაწეთა ხელში დიდის ხნის არსებობა ჟურნალებს არა ჰქონდათ, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ახლად გამომცხვარი მოღვაწენი უმჯობესად წაიყვანენ ჟურნალის საქმეს?

თუ, ქალბატონებო, ლიტერატურული შრომა გწყურიათ და უნარიც მოგდევთ, სალიტერატურო ასპარეზი საკმაო გაქვთ: აი, არსებობს ჩვენში ქართული ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“, რომელსაც ფართო პროგრამა აქვს და რომელიც დიდის სიამოვნებით მიიღებს თქვენის კალმის ნაწარმოებს, თუ ეს ნაწარმოები ღირსებას მოკლებული არ არის,—მიიღეთ იქ მონაწილეობა, გააუმჯობესეთ იგი, მეტი სიცოცხლე და ინტერესი მიეცით, გაამრავლეთ მისი ხელის მომწერნი, რომ ამით საშუალება მიეცეს ჟურნალს და საუკეთესო თანამშრომლების შრომა უხვად დააჯილდოვოს, რაიცა ნაყოფიერად იმოქმედებს ჟურნალის წინ-სვლისათვის. გარწმუნებთ, ამით უფრო მეტს თანაგრძნობას მოიპოვებთ და სახელს შეიძენთ, ვიდრე თქვენის განზრახვის აღსრულებით. ამ ნაირის შრომით საზოგადოებაც კმაყოფილი და მადლობელი იქნება თქვენი და „მოამბე“-ს რედაქციაც. თუ ამ ჟურნალში მონაწილეობა არა გსურთ და არ გეხერხებათ, აი კიდევ საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“, რომლის რედაქტორს არა-ერთხელ შეუჩივლია საზოგადოებისთვის, რომ ჟურნალს ძალიან ცოტა ხელის-მომწერნი და თანამშრომელნი ჰყავს,—მიიღეთ იქ მონაწილეობა, გააუმჯობესეთ იგი, გააფართოვეთ მისი პროგრამმა, გაამრავლეთ ხელის მომწერნი, სიტყვითა და საქმით შემწეობა მიეცით და გარწმუნებთ, ამით დიდ სამსახურს გაუწევთ ჩვენს მოზარდს თაობასა და საზოგადოებას. თუ არც ეს გნებავთ, სთარგმნეთ ან სწერეთ ორიგინალი საყმაწვილო და სახალხო მოთხრობები და ადვილად გასაგები სამეცნიერო ნაწარმოებნი. ერთის სიტყვით, საქმე მრავალია, ოღონდ ცოდნა და შრომის მოყვარეობა იყოს.

—

დღეს დაწყნარდა საშინელი ქარიშხალი, რომელიც მძვინვარებდა აქ სამი დღე, ამ ქარმა დიდი ზარალი მოუტანა ქუთაისს. ბევრს სახლს გადააგლიჯა სახურავი და, ვინ იცის, სად გადაჰკარგა; ქუჩებში ფარნები მოჰგლიჯა სვეტებიდგან და ლუკმა-ლუკმა აქცია; მრავალი ხე ძირიანად ამოგჰგლიჯა, ქუჩებში სიარული არ შეიძლებოდა, ისეთი საშინელი მტვერი იდგა. ქალაქი ახლა დიდს მოძრაობაშია, ემზადება მომავალის საქალაქო არჩევანებისათვის; ქუჩებში გამოკრულია იმათი სახელი და გვარი რომელთაც უფლება აქვთ არჩევანებში მონაწილეობა მიიღონ. დასდასობა უკვე იწყება. ამბობენ და, რამდენად მართალია, არ ვიცით, მეგრელები და სომხები ერთ დასს შეადგენენო, ხოლო დანარჩენნი—მეორეს; ამის გამო დიდი მითქმა-მოთქმაა ქალაქში. დაწვრილებით შემდეგ.

მ—მ.

*) სამწუხაროდ, მღ. იოსებ შიუკაშვილისა და ბ-ნ გ. საყვარელიძის მშვენიერს სიტყვებს უადგილობისა გამო ვერა ვბეჭდავთ. რედ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ხაშმი**, (გარე კახეთი). კვირას, 22 თებერვალს, აქაც არ დავივიწყეთ ჩვენი გმირთა გმირი მეფე ერეკლე II და ჯეროვნად გარდავიხადეთ მისის გვამის ასის წლის დასაფლავების დღე. წირვა რომ გათავდა, ბლაღოჩინ-დეკანოზმა ლევან ბაქრაძემ და მღვდელ-მონაზონმა მ. გერასიმემ პანაშვიდი გარდაიხადეს ირაკლი მეფის სულის მოსახსენებლად. ხაშმის მამასახლისის თომა ქოქრაშვილის თაოსნობით პანაშვიდს თითქმის მთელი სოფელი დაესწრო და აგრეთვე თ. ჩოლოყაშვილი. პანაშვიდი რომ გათავდა, სიტყვა წარმოსთქვა იოანნე ნათლის-მცემლის სკოლის მასწავლებელმა ნ. კურდღელაშვილმა, რომლითაც გააცნო საზოგადოებას ისტორიული მნიშვნელობა ერეკლე მეფისა ქართველის ერისთვის და დღევანდელის დღისა, და დასძინა, რადგანაც ქართველ ერს ჭკუის მეგლი დაუდგან ამ დაუვიწყარს მოღვაწეს, ურიგო არ იქნება, რომ ჩვენც, როგორც ქართველებმა, მონაწილეობა მივიღოთ ამ საზოგადო საქმეში და ამ მოსაგონებელ მეგლისთვის რამე ფული შევაგროვოთო“. მთელ დღევანდელ დღეს ამ საქმისთვის ფულს აგროვებდნენ სამინისტრო სკოლის მასწავლებელი ბ. ივანე ბაქრაძე და ნ. კურდღელაშვილი. ფულის შეწირვის მსურველნი ბევრნი იყვნენ, მაგრამ უქონლობის გამოისობით ბოდიშს იხდიდნენ, თუმცა სოფლის შესაფერად საკმაო ფული შეგროვდა: 21 მან. და სამი შაური.

შემომწირველთ აქვე ავნუსხავ: 1, დეკანოზი ლეონ ბაქრაძე—3 მ. 2, ხაზინადარი იოანე ნათლის-მცემლისა მღვდელ-მონაზონი გერასიმე—3 მ., 3, ვანო ბაქრაძე—1 მ., 4, გიორგი ივანეს ძე ნახუცრიშვილი—1 მ. 5, გიორგი სვიმონის ძე ნახუცრიშვილი—1 მ. 6, მამასახლისი თომა ქოქრაშვილი—1 მ. 7, ია შავკაციშვილი—1 მ. 8, სეით თევდორაშვილი 1 მ. 9, სალომე ლუტიძე—1 მ., 10, ნიკოლოზ კურდღელაშვილი—1 მ. 11, გიორგი ოღრაპიშვილი—50 კ. 12, იასონ ჭიაბრიშვილი—50 კ. 13, სოფიო ბაქრაძე—50 კ. 14, ელისე მაჭავარიანი—50 კ. 15, გიორგი ლაზარეს ძე ქოქრაშვილი—40 კ. 16, იაგორ მარინდაშვილი—40 კ. 17, ივანე სუხიტაშვილი—40 კ. 18, იოსებ ნახუცრიშვილი—30 კ. 19, მთავარ დიაკონი სპირიდონ ქოქრაშვილი—25 კ. 20, ნინო ნახუცრიშვილი—25 კ. თითო აბაზი: ივანე სულთიშვილი, გიორგი კეჟერაშვილი, ესტატე ლოლაძე, იაგორ სონიაშვილი, იაგორ გოგნიაშვილი, იაკობ შავკაციშვილი, ქიტესა ლუაშვილი, ალექსი თამაზიშვილი, ფიდო ზუკაკიშვილი, თევდორე მამუჩიშვილი. სამ სამი შაური: იაგორ მაღალდაძე, ნინო ნახუცრიშვილისა, ეკატერინე სუხიტაშვილისა,

ანნა ნახუცრიშვილისა და მარიამ ნახუცრიშვილი *).

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სომხურ გაზეთ „მშაკში“ დასტამბულია წერილ იოსებ ტფილელისაგან დაწერილ „დიდ-მოურავიანის“ შესახებ. დამწერი ამბობს, რომ

გიორგი სააკაძემ შაჰ აბაზის წინაშე მაჰმადიანობა მიიღოვო, საქართველოს ასაკლები გეგმა ამან შეადგინაო, 70,000 ათასი კახელნი გააწყვეტინა და 10,000 ქართველიც სპარსეთში გადაასახლებინაო· დღეს კი ასეთ კაცს ქართველნი აქებენ და თან ამართლებენ კიდეცაო, ვითომც ის საქართველოს მტერი არ იყოვო. ეს არ მიეტევება დღევანდელს ქართულს მწერლობასაო.

## რუსეთი

—

უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ სამრევლო სასწავლებლების მასწავლებლებმა ყოველგვარ თხოვნით უნდა მიჰმართონ ხოლმე საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს სამაზრო განყოფილებასაო.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს სახალხო სასწავლებლებთან ტყის სანერგეები დააარსოს.

— ამ ჟამად პეტერბურგის სახელმწიფო ზარაფხანაში დამზადებულ იქმნა სანიმუშოდ ოქროს ათმანეთიანი. ზარაფხანაში გაცხარებული მუშაობაა და მუდამ დღე ნახევარ მილიონ მანეთის ოქროს ფულსა სჭრიან. განზრახვა აქვთ ზარაფხანასთან განსაკუთრებული პალატა დააარსონ, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ხოლმე ყოველ-გვარ ლითონის ფულის სიავ-კარგე.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ თუ არა ქალებს რკინის გზის კასსირისა, ანგარიშის მწარმოებლისა და სხვა თანამდებობის ასრულებისა.

— ამ ჟამად საერო განათლების სამინისტრო პროექტს იმუშავებს იმის შესახებ, რომ აწ არსებული რეალური სასწავლებლები 8 კლასიან რეალურ სასწავლებლებად იქმნენ გადაკეთებულნი და საცა საჭიროა 4 კლასიანი რეალური პროგიმნაზიები დაარსდეს.

— ამ ჟამად გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ პეტერბურგში დაარსდეს ისეთი სასწავლებელი, რომელმაც რკინის გზის მოხელეები უნდა მოამზადოს, სახელდობრ: სადგურების უფროსები, მათი თანაშემწენი, ანგარიშის მწარმოებლები, კონდუქტორები და სხვა..

— ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს ახალი წესები შეიმუშაოს საბანკო კანტორებისა და სავაჭრო სახლების დაარსების შესახებ.

— გზათა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებაში ლაპარაკია აღძრული რკინის გზების სატეხნიკო სასწავლებლების პროგრამმის გადათვალიერებისა და ცვლილების შემოღების შესახებ. განზრახვა აქვთ ამ სასწავლებლებში უცხო ენების სწავლება შემოიღონ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს საჭირო ღონისძიებანი იღონოს იმის შესახებ, რომ რუსეთში გავრცელებულ იქმნას ბალახის თესვა.

— ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული მთელის რუსეთის შინაურ მრეწველობის მოღვაწეთა საერთო კრების გამართვის შესახებ.

— განზრახვა აქვთ მომავალ მაისს გამოფენა გაჰმართონ ქ. პეტერბურგში ცნობილის კრიტიკოსის ვ. გ. ბელინსკის პატივსაცემლად მის გარდაცვალებიდგან 50 წლის შესრულებისა გამო. გამოფენილ იქმნება თურმე წერილები, სურათები და ყველაფერი, რაც-კი კრიტიკოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხება.

## უცხოეთი

—

**იტალია.** როგორც დეპეშებიდგან შეგვ უწყიან მკითხველებმა, ამ რამდენისამე დღის წინად იტალიაში დეპუტატ მაკოლასა და კავალოტის შორის დუელი მოხდა, რომლის დროსაც ეს უკანასკნელი ისე მძიმედ დაიჭრა, რომ რამდენისამე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. კავალოტის სიკვდილმა მთელი იტალია დააღონა და დააფიქრა. უგმანი იმას ღა გაიძახოდნენ, რომ „დუელები მოსპეთო“. იმ დღეს, რა დღესაც იტალიაში კავალოტის სიკვდილის ამბავი გავრცელდა, ყოველის მხრიდგან აუარებელი დეპეშები მიიღეს იმისმა ჭირისუფლებმა; ისეთი ქალაქი აღარ დარჩა, სადაც იმის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი არ გადაეხადათ. კავალოტის სიკვდილმა დააღონა არა მარტო იმის მომხრეები, არამედ მოწინააღმდეგენიც-კი, რომელთაც პარლამენტში მთელი თავისი სიცოცხლე ებრძოლებოდა. ნეაპოლსა, გენუასა, ბოლონსა, ფლორენციასა ხალხმა დემონსტრაციებიც-კი მოახდინა კავალოტის პატივსაცემად. კავალოტი იტალიელების უსაყვარლესი მოღვაწე იყო. პარლამენტში ის ოპოზიციის მოთავე იყო და თითქმის მთელი თავის დღენი მთავრობასთან ბრძოლას მოანდომა. კავალოტის წყალობით რამდენმამე სამინისტრომ თანამდებობას თავი გაანება. კავალოტი განთქმული იყო აგრეთვე როგორც დრამატურგი და პოეტი. იმის ნაწარმოებს დიდი გასავალი ჰქონდა იტალიაში. პოლიტიკაში კავალოტი წინააღმდეგი იყო იტალიის გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთთან კავშირისა. იმისი სურვილი იტალიის საფრანგეთთან დაახლოვება იყო. კავალოტი ცნობილი იყო, როგორც პატიოსანი, მართალი და პირში-მთქმელი კაცი თავისის პატიოსანის ხასიათის წყალობით მან მოწინააღმდეგეთა სიყვარულიც-კი დაიმსახურა. კავალოტი სულ 44 წლის კაცი იყო.

## დამაკვირდი

გულ-ქმოდგინეობთ სასტიკად მოპყრობას ზეცის სასარგებლოდ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ქვეყნისათვის საჭიროდ და ხელ-საყრელად მიგვაჩნია.

ადდისონი

* * *

ღვთის სიყვარულს ხშირად კაცთა მიმართ სიძულილამდე გავაზვიადებთ ხოლმე.

რუკკერტი

* * *

საწუთროჲსა ამის საქმეთაგან
საბაგედ არს გონებაჲ შენი

ვახტანგ გორგასლანი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 მარტი

**სოფია.** გაზეთის „ნაროდნია პრავას“ რედაქტორს, რომელსაც ექვსი ვექილი იცავდა, მიუსაჯეს ვ. ვ. კომაროვზე ცილის წამების დაბეჭდვისათვის ერთის წლით ციხეში დაპატიმრება და 3,000 ფრანკი ჯარიმა.

**რომი.** პალატა. მინისტრის ამხანაგი ბონნი ამბობს, რომ იტალია თანაუგრძნობს ბატონიშვილის გეორგის კანდიდატურას და ეს თანაგრძნობა გამოაცხადა კიდეცო. მინისტრმა დასძინა, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ის ერთსულობა დიდ სახელმწიფოთა, რომლის დაცვაც ჰსურდათ მათ აღმოსავლეთის ყველა საქმეებში და სწორედ ეს ერთსულობა შეიქმნა უტყუარი თავმდები მშვიდობიანობისა. მოლაპარაკებაო, —განაგრძო მინისტრმა,—ჯერ არ არის, ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზისა გამო. სხვა არავისი კანდიდატურა არ არის დასახელებული.

**კანეა.** იტალიის სამთა არტილერიის ბატარეა, რომელიც იტალიაში დასაბრუნებლად ემზადებოდა, კრიტის კუნძულზედვე დარჩა ახლად მიღებულ ბრძანებისა გამო.

**ბომბეი.** ქალაქში საკმაო მშვიდობიანობაა, მაგრამ შესაფერი ღონისძიებანი მაინც მიღებულია. სანიტარებს, რომლებიც ჭირით ავადმყოფებს დაეძებენ, თან მხედრობა დასდევს. მრავალი კაცია დაპატიმრებული. შეპყრობილთა შორის არიან მკვლელნი ორის ინგლისელის ჯარის კაცისა.

**პარიჟი.** იუწყებიან, რომ ანიერში, პარიჟის მახლობლად შეიპყრიათ გერმანიის ჯარის ოფიცერი განი, რომელსაც ჯაშუშობას აბრალებენ. განი საზღვარ გარედ იქმნება გაგდებული.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მე ქართველი გახლავართ, სარწმუნოებით კათოლიკე. დიდი ხანია უცხო ქვეყანაში ვცხოვრობ, სადაც ქართველობისა არაფერი ისმის და ეხლა ჩამოვედი ჩემის სამშობლო ქვეყნის სანახავად. 27 თებერვალს კათოლიკეთა ეკკლესიაში წავედი: მინდოდა მომესმინა „ჯვრის გზა“,—ლოცვაა, რომელიც დიდმარხვაში პარასკეობით სრულდება. ამასთან ეს ლოცვა ყველასთვის თავისის სამშობლო ენაზედ სრულდება, ფრანგებისთვის—ფრანგულად, პოლონელებისთვის—პოლონურად, სომხებისთვის—სომხურად და სხვა. ეს ლოცვა ისეთს სიტყვებს შეიცავს, რომ ადამიანს სინანულსა და სასოებას მოჰგვრის. როდესაც ლოცვაზედ მივდიოდი, მოველოდი, რომ ამ სიტყვებს სამშობლო ენაზედ მოვისმენდი, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც ქართულის ნაცვლად გავიგონე ფრანგული, რომლისაც ერთი სიტყვაც არ მესმის. ძალიან დავღონდი, მაგრამ რას ვიზამდი! სწორედ შეგეცოდებოდათ, რომ დაგენახათ ამ დროს ქართველები, რომელნიც წიგნში იყურებოდნენ და ისე კითხულობდნენ იმ სიტყვებს, რომელსაც მღვდელი ფრანგულს ენაზედ ამბობდა. გავიგე, რომ ქართულს ენაზედ ლოცვის შესრულება დაშლილიაო. ნეტა, თუ სხვას არ უშლიან, ჩვენ რაღად გვიშლიან?!.

ქართველი კათოლიკე


## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძალლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |


## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 იანვარს 1898 წლისას.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | საზოგადოების კასსა . . . . . . . | 11236 | 46 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . | 118 | 58 |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . . | 8719 | 47 |
| IV. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . | 147858 | 30 |
| V. | განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. . . . . . . . . . | 315 | 67 |
| VI. | გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| | ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . . 5623— 70 | | |
| | ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 2047— — | | |
| | გ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 4212— 73 | 11883 | 43 |
| VII. | დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . . | 183 | 61 |
| VIII. | მოწყობა-მომართვა . . . . . . . . | 881 | 47 |
| IX. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 16 | 46 |
| X. | სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . . | 396 | 32 |
| XI. | გარდასაცემი თანხა . . . . . . . . . . | 1528 | 50 |
| | ს უ ლ | 183138 | 27 |

**პასსივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 582 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . | 62891 | — |
| II. | შემოტანილი ფული: | | |
| | ა) მიმდინარე ანგარიშით . . . . 39266—07 | | |
| | ბ) ვადით . . . . . . . . . 49990—— | | |
| | გ) უვადოდ . . . . . . . . 100—— | 89356 | 07 |
| III. | სარგებელი განსაკუთრებულის მიმდინარე ანგარიშისა აზოვო-დონის საკომერციო ბანკის ტფილისის განყოფ.. . . . . . . . . . . | 7 | 12 |
| IV. | გარდასაცემი თანხა . . . . . . . . . | 2935 | 50 |
| V. | გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | 754 | 07 |
| VI. | გადაგირავება თამასუქებისა. . . . . . . | 24600 | — |
| VII. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . | 191 | 32 |
| VIII. | წმინდა მოგება 1897 წლისა . . . . . . | 2403 | 19 |
| | ს უ ლ | 183138 | 27 |
| | პასუხის-მგებლობა 582 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . . | 566019 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . | 6900 | — |
| | თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . . | 1450 | — |

(1—6.—1)

*) ეს 21 მან. 15 კაპ. რედაქციამ მიიღო და „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ გარდასცა მეფე ერეკლეს სახელობის ფონდში ჩასარიცხად.

რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Марта 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.